იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **IV** საფეხური

სპეციალობა: კბილის ტექნიკოსი
Dental Technician

პროგრამის ხელმძღვანელები:

მარადი ბურდული, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი
ნანა ნაცვლიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი

1. რეკომენდებულია სკოლისა და უნივერსიტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ

ოქმი N 15, 30 მაისი 2011 წ.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი: /პროფ. დ.მჭედლიშვილი/

მიღებულია სკოლის საბჭოს მიერ
ოქმი N 11, 1 ივნისი 2011წ.
სკოლის დეკანი: /პროფ. თ. მჭედლური/

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი N16, 14 ივნისი 2011 წ.
უნივერსიტეტის რექტორი: /თ. ჯავახიშვილი/

თელავი
2011 წელი

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: კბილის ტექნიკოსი, Dental Technician

II. პროფესიული განათლების საფეხური: IV

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კბილის ტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი. სულ საათების რაოდენობა 1500 საათი

სასწავლო კომპონენტისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა - 360

სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის კომპონენტისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა - 600

პრაქტიკისა და სასწავლო კომპონენტის პროცენტული თანაფარდობა შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან.

60% ეთმობა სასწავლო კომპონენტს; 40% ეთმობა – სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ზოგად უნარებში ერთიანი ეროვნული გამოცდის წარმატებით გავლა ან კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამა შეესაბამება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მისი ჯანდაცვის ფაკულტეტის მისიას და მიზნებს. ჯანდაცვის ფაკულტეტი ახორციელებს გაცვლით პროგრამებს ფრაიბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტთან, რაც წინაპირობაა იმისათვის, რომ მოცემული პროგრამით მომზადდება მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების IV საფეხურის კბილის ტექნიკოსი, რომელიც დაუფლებული იქნება ორთოპედიული სტომატოლოგიის თანამედროვე ტექნოლოგიებს, უახლეს მასალებს, ჩანართების, ნახევარგვირგვინების, გვირგვინების, კომბინირებული გვირგვინების და წკირიანი კბილების დამზადების ხელოვნებას.

მსმენელი დაეუფლება საღეჭ-სამეტყველო აპარატის მორფოლოგიას და ფიზიოლოგიას, წარმოდგენა შეექმნება ქიმიურ და ბიოლოგიურ პროცესებზე, ორთოპედიული სტომატოლოგიის თეორიული და საფანტომო კურსით შეისწავლის თითოეული კბილის მორფოლოგიას; თანდაყოლილ და შეძენილ დეფექტებს და დეფორმაციებს, პარალელურად დაეუფლება

ორთოპედიული კონსტრუქციების შექმნით რეაბილიტაციის პრინციპებს. პრაქტიკის კურსები დაახელოვებს მოცემული ორთოპედიული პრიუზების შექმნის ხელოვნებას; ნებისმიერ სიტუაციაში შეეძლება პრობლემის ამოცნობა და პასუხისმგებლობის აღება შესრულებულ სამუშაოზე. უნარიანი იქნება სამუშაოს დაგეგმვის და შესრულების პროცესში გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის უცხო ენაზეც; ჯანდაცვის პრინციპების ცოდნა დაეხმარება ადამიანებთან ურთიერთობაში. ამავდროულად შეეძლება საკუთარი უწყვეტი განათლების პროცესის მართვა.

VII. სწავლის შედეგი:

კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	იცის საღეჭ-სამეტყველო აპარატის აგებულება და ფუნქცია. წარმოდგენა აქვს ორგანიზმში მიმდინარე ქიმიურ და ბიომექანიკურ პროცესებზე, დაუფლებულია კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში გამოყენებულ თანამედროვე როგორც საანაბეჭდო, ასევე პროთეტიკულ მასალებს, იცნობს ძირითად ტექნიკურ და დამხმარე საშუალებებს, შესწავლილი აქვს საღეჭ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი ანომალიები, დეფექტები და დეფორმაციები, აგრეთვე მათი ამოცნობისა და რეაბილიტაციის საკითხები – გაცნობიერებული აქვს აპარატურული, ანუ ორთოპედიული კონსტრუქციებით მათი მკურნალობის აუცილებლობა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია კბილის სატექნიკო ლაბორატორიის სპეციფიკიდან გამომდინარე სამუშაოს დაგეგმვა და შესრულება, მუშაობის პროცესში წამოჭრილი ამოცანის გადასაჭრელად შეუძლია საინფორმაციო წყაროების გამოყენება და სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება შრომის შედეგის გასაუმჯობესებლად; დაუფლებულია ძერწვისა და ცვილით მოდელირების ხელოვნებას, შეუძლია სამუშაო მოდელის ჩამოსხმა, მოდელის დამუშავება, ძერწვა; შეუძლია კბილის გვირგვინების დეფექტებისა და დეფორმაციების გამოსწორება, მირჩილვა, შედუღება, მეტალების დამუშავება, ჩამოსხმა, ფლობს ფაიფურსა და პლასტმასებზე მუშაობის მეთოდებს. ნებისმიერი პროცედურისთვის შეუძლია შესაფერისი მასალის კრიტიკული ანალიზით შერჩევა და გამოსაყენებელი მეთოდის მისადაგება.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	ნებისმიერი ორთოპედიული კონსტრუქციის შესაქმნელად შეუძლია საჭირო ტექნოლოგიის შერჩევა, გამოსაყენებელი მასალების ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და საბოლოო შედეგის ანალიზი. აგრეთვე დასკვნის გაკეთებამდე შეუძლია გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, გაეცნოს უახლესი მასალების გამოყენების მეთოდებს და მიღებული დასკვნა დასაბუთებულად ჩამოაყალიბოს.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	კბილის სატექნიკო სამუშაოებთან დაკავშირებით შეუძლია გააზრებული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, ათვისებული აქვს ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები. პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში ეთიკური ნორმების დაცვით შეუძლია სამუშაოზე პასუხისმგებლობის აღება, უცხო ენაზე იძიებს და ამუშავებს საჭირო ინფორმაციას.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.	პროფესიული საჭიროებიდან გამომდინარე, შეუძლია საჭირო წყაროების მოძიება და დამუშავება დამოუკიდებლად, საზღვრავს პროფესიული სრულყოფისათვის საჭირო ნაბიჯებს.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	იცის პროფესიასთან დაკავშირებით როგორც სამართლებრივი, ასევე ეთიკური საფუძვლები. ნებისმიერ სიტუაციაში მოქმედებს მისი საქმიანობისათვის დამახასიათებელი ნორმების შესაბამისად. ცვალებად სიტუაციაში პრობლემის გადაწყვეტა შეუძლია კოლეგებისა და პაციენტების სასარგებლოდ.

VIII. სწავლის შედეგების რუქა

#	სასწავლო კურსი	ცოდნა და გაცნობიერება	codnis praq. gam.unari	daskvnis gakeTebis unari	komunikacii s unari	swav l is unari	Ri rebu l ebe bi
1	სამედიცინო და ბიოლოგიური ფიზიკა	X	X			X	
2	ადამიანის ნორმალური ანატომია	X	X			X	X
3	სამედიცინო ბიოლოგია	X	X	X		X	
4	სამედიცინო ქიმია	X	X			X	
5	კომპიუტერული ტექ. საბაზ. კურსი	X	X		X	X	
6	უცხო ენა	X	X		X	X	
7	ორთოპ. სტომატ. პროპედევტიკა	X	X			X	X
8	ორთოპედიული სტომატ. მასალათმცოდნეობა	X	X			X	X
9	პრაქტიკა ორთ. სტომატ. საფანტომო კურსი		X	X		X	X
10	პრაქტიკა - მასალათმცოდნეობა		X	X			X
11	პრაქტ. ორთ. სტომატ. ტექნოლოგიები		X	X		X	X
12	თერაპიული სტომატოლოგიის შესავალი	X	X	X		X	
13	ორთოდონტია	X	X	X		X	X

14	ბიოეთიკა	X			X	X	X

IX. სასწავლო გეგმა

ECTS-60

სასწავლო გეგმა გათვლილი 15 _ 15 კვირაზე, I და II სემესტრზე. მეორე სემესტრში თეორიულ კურსებს დაემატება პრაქტიკის საკონტაქტო 240 საათი.

#	სასწავლო კურსი	semestri	kreditI	საათების განაწილება					sul saaTi
				sakontaqto				damoukidebeli	
				leqcia-seminari	praqtikuli	laboratoriuli	praqtika		
1	სამედიცინო ბიოლოგია	I	3	15	15			45	75
2	სამედიცინო ქიმია	I	3	15	10	5		45	75
3	კომპიუტერული ტექ. საბაზ. კურსი	I	3	15	15			45	75
4	უცხო ენა	I	5	15	30			80	125
5	ორთოპ. სტომატ. პროპედევტიკა	I	4	15	30			55	100
6	ადამიანის ნორმალური ანატომია	I	3	15	15			45	75
7	სამედიცინო და ბიოლოგიური ფიზიკა	I	3	15	15			45	75
8	ორთოდონტია	I	3	15	15			45	75

9	ბიოეთიკა	I	3	15	15			45	75
	სულ:		30	135	160	5		505	750
10	თერაპიული სტომატოლოგიის შესავალი	II	3	15	15			45	75
11	ორთოპედიული სტომატ. მასალათმცოდნეობა	II	3	15	15			45	75
12	პრაქტიკა ორთ. სტომატ. საფანტომო კურსი	II	10				100	150	250
13	პრაქტიკა - მასალათმცოდნეობა	II	4				40	60	100
14	პრაქტ. ორთ. სტომატ. ტექნოლოგიები	II	10				100	150	250
	სულ:		30	30	30		240	450	750

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა _ დატვირთვა:

1 კრედიტი ნიშნავს 25 საათს. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს ლექციაზე დასწრებას / სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება _ ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით

(A) ფრიადი – მაქს. შეფასება 91% და მეტი, (B) ძალიან კარგი – მაქს. შეფასება 81-90%, (C) კარგი - მაქს. შეფასება 71-80%, (D) დამაკმაყოფილებელი– 61-70%, (E) საკმარისი– 51-60%,უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა მაქს. შეფასების 41-50% ეძლევა განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლება. (F) ჩაიჭრა მაქს. შეფასება 40% და ნაკლები.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევით.

შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედური შეფასება 60%

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასება 40%

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე, დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში არანაკლებ 10 დღეში.

XII. სწავლების მეთოდები.

ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული,პრაქტიკა. დისკუსია, ჯგუფური სწავლება, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტების მეთოდი.

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ :

#	საგანი	ლექტორი
1	ორთოდონტია	ასოც. პროფესორი მარადი ბურდული

2	ადამიანის ნორმალური ანატომია	მოწვ. მასწავლებელი ეკა ონიკაძე
3	სამედიცინო ბიოლოგია	ასოც. პროფესორი მარადი ბურდული
4	სამედიცინო ქიმია	ასოც. პროფესორი მზია ღაღოლიშვილი
5	კომპიუტერული ტექ. საბაზ. კურსი	მოწვეული აკადემიური დოქტორი რუსუდან ფირანიშვილი
6	უცხო ენა	მოწვ. მასწავლებელი თამარ შიუკაშვილი
7	ორთოპ. სტომატ. პროპედევტიკა	ასოც. პროფესორი მარადი ბურდული
8	თერაპიული სტომატოლოგიის შესავალი	ასოც. პროფესორი მარადი ბურდული
9	ორთოპედიული სტომატ. მასალათმცოდნეობა	ასოც. პროფესორი ნანა ნაცვლიშვილი
10	პრაქტიკა ორთ. სტომატ. საფანტომო კურსი	მოწვ. მასწავლებელი, ექიმი, სტომატოლოგი, კბილის ტექნიკოსი ლევან ცაკაშვილი
11	პრაქტიკა - მასალათმცოდნეობა	მოწვ. მასწავლებელი, ექიმი, სტომატოლოგი, კბილის ტექნიკოსი ლევან ცაკაშვილი
12	პრაქტ. ორთ. სტომატ. ტექნოლოგიები	მოწვ. მასწავლებელი, ექიმი, სტომატოლოგი, კბილის ტექნიკოსი ლევან ცაკაშვილი
13	სამედიცინო და ბიოლოგიური ფიზიკა	ასოც. პროფესორი ანა აბაშიძე
14	ბიოეთიკა	ასოც. პროფესორი მარადი ბურდული

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

1. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო აუდიტორიები, ლაბორატორიები, კაბინეტები.

2. საუნივერსიტეტო ბაზა – თელავის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის განყოფილებები, სალექციო აუდიტორიები, კბილის სატექნიკო ლაბორატორია.

XV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა განხორციელდება სწავლების პროცესში შპს „თელავის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის“ სატექნიკო ლაბორატორიაში.

XVI. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა სწავლა გააგრძელოს ამავე პროფესიული სპეციალიზაციის მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით.